პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2024–2027 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 16 დეკემბრის № 350 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლისა და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების საფუძველზე:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2024 – 2027 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 16 დეკემბერს № 350 განკარგულებაში, კერძოდ, შეიცვალოს განკარგულების დანართი და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

დავით ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2025 წლის .... ---------
№ ..... განკარგულების დანართი

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში
განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში
2024 – 2027 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებები

№	საპროექტო წინადადების დასახელება	პროექტის საორიენტაციო ბიუჯეტი
1.	ქალაქ ქუთაისში, მდინარე ოღასკურას კალაპოტის რეაბილიტაცია (V უბანი)	4,893,422.00
2.	ქალაქ ქუთაისში, მდინარე ოღასკურაზე საავტომობილო ხიდის მოწყობა (V უბანი)	310,892.00
3.	ქალაქ ქუთაისში, ზ. გამსახურდიასა და ირ.აბაშიძის გამზირებს შორის, ე.წ. „კიკვიძის“ სკვერის რეაბილიტაცია	2,368,403.00
4.	ქალაქ ქუთაისში, მერიის ადმინისტრაციული შენობის სახურავისა და არქიტექტურის ფლიგელის დარბაზის რეაბილიტაცია	1,254,225.00
5.	ქალაქ ქუთაისში, კიკვიძის ქუჩის №33 საყრდენი კედლის მშენებლობა	1,243,707.00
6.	ქალაქ ქუთაისში, კიკვიძის ქუჩის №10 საყრდენი კედლის მშენებლობა	209,052.00
7.	ქალაქ ქუთაისში, კიკვიძის ქუჩის №12 საყრდენი კედლის მშენებლობა	120,936.00
8.	ქალაქ ქუთაისში, №14 საჯარო სკოლის მიმდებარედ მინი მოედნის მშენებლობა	90,217.00
9.	ქალაქ ქუთაისში, გ.შარვაშიძის ქუჩაზე მაგისტრალური ღვარსადენის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია	500,000.00
10.	ქალაქ ქუთაისში, გ.შარვაშიძის ქუჩაზე ტროტუარებისა და საინაღვრე ქსელის მოწყობა	450,000.00
11.	ქალაქ ქუთაისში, ზ. გამსახურდიას გამზირის №№19,21,23,32,44 მრავალსართულიანი სახლების ფასადების რეაბილიტაცია	2,000,000.00
12.	ქალაქ ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირის V შესახვევში მდებარე №35 საბავშვო ბაღის გამაგრება-რეაბილიტაცია	850,000.00
13.	ქალაქ ქუთაისში, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ლიფტების რეაბილიტაცია	430,000.00
	სულ ჯამი	14,720,854.90

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

დავით ერემეიშვილი